

## დამატებითი სპეციალობის (minor) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**

ინსტიტუტი/დეპარტამენტი: **რუსისტიკის ინსტიტუტი/რუსეთის ისტორიის დეპარტამენტი**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **რუსეთისმცოდნეობა/Russian Studies**

სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი**

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: **ასოც. პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დალი კანდელაკი**

აკადემიური საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№90/2014, 29.09.2014.**

საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2014-2015 სასწავლო წელი**

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: **არ ენიჭება**

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: **60 კრედიტი (40 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები, 20 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები)**

სწავლების ენა: **ქართული ენა.**

### პროგრამის მიზანი:

თსუ-ში ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამა „რუსეთისმცოდნეობა“ თავდაპირველად ამოქმედდა 2008 – 2009 სასწავლო წელს მაგისტრატურაში, ხოლო მომდევნო წელს დოქტორანტურაში. უნივერსიტეტში ამ პერიოდიდან დაიწყო დარგის სინთეზურად სწავლება და კვლევა.

დამატებითი სპეციალობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, რუსეთისმცოდნეობის დარგში სტუდენტს შესძინოს ფართო ცოდნა რუსეთის შესახებ, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვან სპექტრს მოიცავს; სტუდენტები გაარკვიოს რუსეთის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების, რუსული კულტურისა და ლიტერატურის საკითხებში, რათა გაუჩნდეთ ინტერესი სწავლის შემდგომ საფეხურებზე, კერძოდ, „რუსეთისმცოდნეობის“ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ღრმა და სისტემური განათლების მიღებისა. დამატებითი სპეციალობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა შეეძლება თსუ-ს ყველა ფაკულტეტის სტუდენტს, გარდა რეგულირებადი სპეციალობებისა. სწავლება უნდა წარიმართოს მრავალმხრივი მიმართულებით და გაითვალისწინოს ქრონოლოგიური საზღვრები ფართო თემატიკით. საგანმანათლებლო პროგრამა საინტერესო უნდა იყოს სტუდენტების ინტელექტუალური ზრდის თვალსაზრისით; სტუდენტს უნდა

ჩამოვუყალიბოთ ობიექტური, ჭეშმარიტად მეცნიერული და არა კონიუქტურული შეხედულება რუსეთზე, მათ შორის მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში. პროგრამა გაამახვილებს ყურადღებას რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტზე, რომელიც ინტერესს იწვევს არა მხოლოდ სამეცნიერო კუთხით, არამედ იგი უაღრესად აქტუალურია სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

სტუდენტზე ორიენტირებული, პროგრამით გათვალისწინებული ინტერდისციპლინური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ-ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამა „რუსეთისმცოდნეობა“ სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს, მაგრამ ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით, ის აღრმავებს სტუდენტის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს; აძლევს მას შესაძლებლობას შეიძინოს ფართო ცოდნა, რომელიც მას ძირითად სპეციალობასთან ერთად შრომის ბაზარზე ან განათლების შემდგომი საფეხურისათვის გამოსადეგ დარგობრივ კომპეტენციებს ჩამოუყალიბებს.

პროგრამის რამდენიმე სავალდებულო და არჩევითი კურსი საერთოა სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამებთან. ეს უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის რუსეთისმცოდნეობის სფეროდან აუცილებელი, მრავალმხრივი და ინტერდისციპლინური ცოდნის მიღებას.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „რუსეთისმცოდნეობის“ დამატებითი სპეციალობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო და კვლევითი კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და სტუდენტის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს სტუდენტისათვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** „რუსეთისმცოდნეობის“ დამატებითი სპეციალობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის დაშვება ხდება წინაპირობების გარეშე.

### **სწავლის შედეგი:**

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, რუსეთისმცოდნეობა განეკუთვნება მიმართულებათაშორის, რეგიონმცოდნეობითი პროფილის დარგს. პროგრამა „რუსეთისმცოდნეობა“ სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს.

რუსეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეიძლება შემდეგნაირად აღიწეროს:

- ✓ **ცოდნა და გაცნობიერება:** პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მასალის ათვისების საფუძველზე რუსეთისმცოდნეობის სფეროში სტუდენტს ექნება ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს ფაქტობრივ ცოდნას თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. გაცნობიერებს რუსეთისმცოდნეობის სფეროს კომპლექსურ საკითხებს, რომლებიც ეხება რუსეთის ისტორიას, ეკონომიკას, ფილოსოფიას, სამართალს, პოლიტიკას, საერთაშორისო ურთიერთობებს და სხვ.
- ✓ **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს კვლევით ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს აკადემიური/მოწვეული პერსონალის დახმარებით. შეძლებს რუსეთისმცოდნეობის სფეროსთვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად. შეძლებს ამოცანების დაგეგმვას და განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- ✓ **დასკვნის უნარი:** შეაგროვებს და განმარტავს რუსეთისმცოდნეობის სფეროსთვის დამახასიათებელ მონაცემებს; გააანალიზებს რუსეთთან დაკავშირებულ განყენებულ მონაცემებსა და/ან სიტუაციებს სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით. განიხილავს საკითხებს და ჩამოაყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს.
- ✓ **კომუნიკაციის უნარი:** სტუდენტი მოამზადებს დეტალურ წერილობით ანგარიშს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ. ზეპირად გადასცემს ინფორმაციას სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს ქართულ და უცხოურ ენებზე, შემოქმედებითად გამოიყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. პრეზენტაციის პრაქტიკა სტუდენტს ჩამოუყალიბებს საკუთარი ცოდნისა და გაწეული მუშაობის შედეგების დასაბუთებული წარმოჩენის, დისკუსიაში მონაწილეობის უნარს.
- ✓ **სწავლის უნარი:** სტუდენტი შეაფასებს საკუთარი სწავლის პროცესს თანმიმდევრულად და მრავალმხრივად. დაადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს.
- ✓ **ღირებულებები:** სტუდენტს ექმნება წარმოდგენა ღირებულებების ფორმირების პროცესზე. რუსეთისმცოდნეობის სფეროში მიღებული ცოდნა სტუდენტს უყალიბებს წარმოდგენას საკუთარი და უცხოური ისტორიულ-კულტურულ და იდეოლოგიურ ღირებულებათა შესახებ. ის ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად. ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** სწავლის შედეგების მისაღწევად „რუსეთისმცოდნეობის“ დამატებითი სპეციალობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის,

რეფერატის, ესეს, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს: ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.

**დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას. დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს.

**ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად.

**დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი:**

- **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

- **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

- **სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

**ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**წერითი მუშაობის მეთოდი** - გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: სხვადასხვა ტიპის ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულებას და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოიყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

საბაზისო დარგობრივი ცოდნის შეძენისას „რუსეთისმცოდნეობის“ დამატებითი სპეციალობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული სასწავლო კურსი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის №77/2011 დადგენილებით - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, „რუსეთისმცოდნეობის“ დამატებითი სპეციალობის სტუდენტის საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) მოიცავს:

- ა) ლექციაზე დასწრებასა და სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- გ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
- დ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (რეფერატი, მოხსენება კონფერენციაზე) მუშაობას.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.

დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუფროვდეს 51 ქულა. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

#### **შეფასების სისტემა უშვებს:**

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის

საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**დასაქმების სფეროები:**

ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით დამატებითი სპეციალობის „რუსეთისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით მიღებული ცოდნა (რუსეთის ისტორიის, ეკონომიკის, სამართლის, კულტურის, საერთაშორისო ურთიერთობების და ა.შ.), ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, ზოგადტრანსფერული უნარები და შეძენილი ფართო კომპეტენციები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების შრომით ბაზარზე დასაქმებას. შესაბამისად, კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს რეგიონმცოდნეობის, კონკრეტულად კი, რუსეთის პრობლემატიკის შესწავლით დაინტერესებულ სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში. გარდა პრაქტიკული საქმიანობისა, კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება მაგისტრატურის საფეხურზე სხვადასხვა მიმართულებით: რუსეთისმცოდნეობა, აღმოსავლეთ ევროპის კვლევები, რეგიონული კვლევები, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური მეცნიერებები და სხვ.

**პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „რუსეთისმცოდნეობის“ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბიუჯეტიდან, რომლებიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. შესაბამისი ფაკულტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

**სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები):** დანართი №1.

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:** ბიოგრაფიული მონაცემები (CV) - დანართი №2.

**პროგრამის დამტკიცების აქტი:** დანართი №3.

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო სასწავლო კურსები 40 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	საკონტაქტო საათები			დამოუკიდებელი მუშაობის საათები			საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლები ს სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო	ჯგუფი	ლექცია-სემინარებისათვის მომზადება	შუალედური გამოცდის/გამდების მოსამზადება	დასკვნითი გამოცდის მოსამზადება		შემოდგომა	გაზაფხული	
			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	საგანზე დაშვების წინაპირობა							
	რუსეთის ისტორია და კულტურა	5	15	30	60	8	9	3	-		II	დალი კანდელაკი
	რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სისტემა	5	15	30	52	16	9	3	-	I		ზურაბ მაჭარაძე
	რუსეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია	5	15	30	60	8	9	3	-		II	ვალერიან მელიქიძე
	რუსეთის სახე მსოფლიო კულტურაში	5	15	30	60	8	9	3	-		II	ირინა დემეტრაძე
	რუსული ლიტერატურის ისტორია (ფილოლოგიური პროგრამების სასწავლო კურსი)	5	15	30	60	8	9	3	-	I		ნოდარ ფორაქიშვილი
	რუსეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები	5	15	30	57	8	12	3	-	I		ლარისა ყორღანაშვილი



რუსეთის ეკონომიკა	5	15	30	59	8	10	3			II	ნინო პაპაჩაშვილი
რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები ევროპულ წყაროებსა და საისტორიო ლიტერატურაში (მე-18 საუკუნეთანამედროვე პერიოდი)	5	15	30	60	8	9	3	-		I	დალი კანდელაკი
<b>არჩევითი სასწავლო კურსები – 20 კრედიტი (ECTS)</b>											
რუსეთის ევროპული პოლიტიკა	5	15	30	60	8	9	3			I	დალი კანდელაკი
რუსეთი, საქართველო და ამიერკავკასიური სახანოები (ისტორიის საბაკალავრო პროგრამიდან)	5	30	15	60	8	9	3	-		I	გიორგი ჟუჟუნაშვილი
რუსული რელიგიური ფილოსოფია (ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამიდან)	5	30	15	60	8	9	3			II	ირაკლი ბრაჭული
რუსეთი და კავკასია XV-XXI სუკუნეებში (კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამიდან)	5	30	15	60	8	9	3	-		II	ჯონი კვიციანი
რუსეთის ბიზნესგარემო	5	15	30	57	8	12	3	-		I	ლარისა ყორღანაშვილი
რუსული ემიგრანტული ლიტერატურა (რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამიდან)	5	30	15	58	8	9	5	-		II	მარიამ ფილინა

რუსული ენა 1 (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსი)	5		60	45	8	10	2	-	I	პედაგოგი ენების შემსწავლელი ცენტრიდან
რუსული ენა 2 (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსი)	5		60	45	8	10	2	რუსული ენა 1	II	პედაგოგი ენების შემსწავლელი ცენტრიდან

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა:

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა:

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა:

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა:

თარიღი:

ფაკულტეტის ბეჭედი: